ახალი

გაზეთიადი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსთვის უძველეს გულია,,

2017 წელი 30 მარტი № 3 № 8120

გაზეთიადი

85 წელი თქვენთან ერთად!

ელფოსტა

AxaliGantiadi@gmail.com

ევროპის საბჭოს საგრანტო კონკურსი „აღგილობრივი თვითმართველობის ინსტიტუციონალური საფუძვლების გაძლიერება ეთიკასა და გამჭვირვალობაში,,

გვ2.

სტრასბურგში საგრანტო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი

გვ2.

კასპი-კავთისხევის საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია

გვ2.

ახალი სკოლა სოფელ თვალადში

გვ3.

„ყველის ცალი ჭკვთხეკვთან ჭარიბებს...“

გვ4.

გოსტიბე - ცხავერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები გრძელდება

გვ2.

60 წლის წინათ ... ოღოდ, ერთი წლით ადრე (ანუ — ძველის გახსენება ახლის მოლოდინში)

გვ8.

საკაძის ქუჩის მონაკვეთის შეკეთება

გვ3.

ლომარყანის ჯამბაყურ-ლირბელიანთა ცხცხტოე-მუზეუმში

გვ7.

დასუფთავების ერთობლივი აქცია

გვ3.

მიყვარს ქართულად

გვ6.

შეხვედრები მუზეუმში

გვ5.



შესული

გვ5.

ახალი წიგნები

გვ3.

ევროპის საბჭოს საგრანტო კონკურსი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალური საფუძვლების გაძლიერება ეთიკასა და გამჭვირვალობაში,,

სტრასბურგში საგრანტო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი

კასპის მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში – "ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალური საფუძვლების გაძლიერება ეთიკასა და გამჭვირვალობაში." აღნიშნულ პროექტში კასპის გარდა მონაწილეობდნენ ქვეყნის სხვა მუნიციპალიტეტები. პროექტის მიზანია თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ინფორმირებულობით და ჩართვით მუნიციპალიტეტის განვითარება და მომსახურების ხარისხის გაზრდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მასშტაბურ პროექტში ჩართულ საქართველოს

ორ მუნიციპალიტეტთან /დუშეთი და თიანეთი/ ერთად გამარჯვებულად გამოვლინდა კასპის მუნიციპალიტეტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარე წლის პირველ მარტს საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში ევროპის საბჭოსა და საქართველოს სამ /დუშეთი, თიანეთი, კასპი/ მუნიციპალიტეტს შორის ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს მმართველობის წახალისებაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსებას.

სტრასბურგის ევროპის საბჭოს შენობაში გამართულ ხელმოწერის ოფიციალურ ცერემონიას ესწრებოდნენ ევროპის საბჭოს კონგრესის გენერალური მდივანი ანდრიას კიფერი, თანამშრომლობის პროგრამის მენეჯერი მარიტე მორასი და სხვა ოფიციალური პირები.

საქართველოდან ხელმოწერის ცერემონიალში მონაწილეობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიზო ჩოხელი და თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ლელა ქიტესაშვილი. აღნიშნულ სამ მუნიციპალიტეტს შორის კონკრეტული პროექტების განხორციელება მარტის ბოლოდან დაიწყო.

ასოციაციის განმარტებით ეს პროექტები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და მისი მიზანი გახლავთ აღმოსავლეთის ქვეყნებში დემოკრატიის გაძლიერება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

კასპი-კავთისხევის საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია

შიდა ქართლის გუბერნატორმა კახა სამხარაძემ პირველ მოადგილესთან იოსებ ოქრომელიძესთან და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, გოჩა გოჩიტაშვილთან ერთად კასპი-კავთისხევის საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. თაღოვანი

ხიდი, რომლის სრული რეაბილიტაცია თითქმის 50 წელია არ ჩატარებულა

უკვე საფრთხის შემცველი იყო, განსაკუთრებით ავტოტრანსპორტით მძიმე ტვირთების გადატანისას. ხიდის რეაბილიტაცია 2016 წლის ნოემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის ივნისში დასრულდება. სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 1 110 687 ლარს შეადგენს. სამუშაოებზე 25 ადამიანია დასაქმებული.

გინდათ, გაეცნოთ საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?
გინდათ, გაიგოთ ეროსაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?
გინდათ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

გამოიწერეთ "ახალი გზა" და გახდით ჩვენი მკითხველი!

გოსტიბე - ცხავერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები გრძელდება

კასპის მუნიციპალიტეტში სოფლების გოსტიბე - ცხავერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები განახლდა, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ თემურ ხიზანაშვილმა დაათვალიერა.

უამინდობისა და ყინვების გამო სამუშაო პროცესი დროებით შეჩერებული იყო.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "სამშენებლო - სამონტაჟო საექსპლოატაციო საწარმო ჩელიაბინსკ ტრანს სიგნალი"-ს საქართველოს ფილიალი ახორციელებს. ბეტონის სამუშაოები ითვალისწინებს გზის გარკვეული მონაკვეთის 18 სანტიმეტრიანი ბეტონის საფარით მოპირკეთებას.

გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულება 625 525 ლარს შეადგენს და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

მშენებლობის პირველი ეტაპი მაისის ბოლოს დასრულდება.

2014 წლის 12 დეკემბერს სოფელ ცხავერის მოსახლეობამ 22 - წლიანი პაუზის შემდეგ ელექტროენერგია მიიღო, სოფელში 2017 წლისათვის გაზიფიცირებაც იგეგმება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ახალი სკოლა სოფელ თვალადში

ასევე უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალური გათბობითა და დამოუკიდებელი წყალმომარაგებით.

საჯარო სკოლის მშენებლობას შპს ,,საბა კონტრაქშენი'' აწარმოებს და მასზე 2 442 987 ლარი იხარჯება. 120 ბავშვი და 21 პედაგოგი ახალ, 2017 - 2018 სასწავლო წელს კეთილმოწყობილ სკოლაში იზეიმებს.



სოფელ თვალადში მალე დასრულდება საჯარო სკოლის თანამედროვე სტანდარტების ორსართულიანი სასწავლო კორპუსის მშენებლობა.

სკოლას კეთილმოწყობილი საკლასო ოთახების გარდა სპორტული დარბაზი და მინი სპორტული მოედანიც ექნება.

,,ახალი გზა,, იძიებს ცვინტერესებს ცხოვრების ცვლილებებზე ოთხ-მცოვანიც შეცვლილა. თხოვნით მივმართავთ თანამშრომლებს - დაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მცოვანეში! გამოგვიგზავნეთ ცვინტერესებს და ცხოვრიცთ ფოტოები!

შეგიძლიათ, მოგვწერეთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, ამბები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

საკაკაძის ქუჩის მონაკვეთის შეკეთება

საქართველოს გზების დეპარტამენტის მიერ კასპში, შიდა სახელმწიფოებრივი გზის - საკაძის ქუჩის მონაკვეთის ორმოული და სურათობლივი შეკეთება მიმდინარეობს.

სამუშაოებს გორის №1 საგზაო სამმართველო ასრულებს.

დასუფთავების ერთობლივი აქცია

დასუფთავების ერთობლივი აქცია კავკასიის გარემოს დაცვითი ორგანიზაციის კასპის ეკოკლუბის წევრებმა (ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეები), კასპში ფარნავაზის ქუჩაზე მდებარე მეორე მსოფლიო ომის მემორიალის ტერიტორია დაასუფთავეს. შეგროვილი ნარჩენები კი შპს "კასპის კეთილმოწყობა"-მ გაიტანა.

სიახლე

ახალი წიგნები

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანებაში მიღებულია ახალი წიგნები:

აგატა კრისტი - "პაემანი სიკვდილთან"; "მკვლელობა გოლფის მოედანზე"; "მესამე გოგონა"; "ლორდ ეჯვერის მკვლელობა"; "დაკრძალვის შემდეგ"; "როჯერ ეკროიდის მკვლელობა"; "დიდი ოთხეული"; "მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში"; "საფრთხე ედჰაუსში"; "ბოროტება მზისქვეშეთში"; "თამაში ღია კარტით";

ჰოლი სმეილი - სერიიდან "გიკი გოგო": "ყველაზე ფოტოგენური"; "ყველაფერი რაც ბრწყინავს"; "მოდელობისათვის შეუფერებელი";

ნოდარ დუმბაძე - "მზეო, დაბრუნდი, დაბრუნდი"; მოთხრობები; პროზა - ტ.4; " ნუ გეშინია, დედა"; "მე ვხედავ მზეს;" " ი უ მ ო რ ი ს ტ უ ლ ი მოთხრობები"; "თეთრი ბაირაღები";

ერიხ მარია რემარკი - "ტრიუმფალური თაღი"; წიგნი 1,2,3,4.

რევაზ ინანიშვილი - წერილები;

დიდი ექვთიმე;

ა ს ტ რ ი დ ლინდგრენი - "ლოტა აურზაურის ქუჩიდან"; "ემილი აჯანყდა";

ა.ს.ა. ჰარისონი - "მდუმარე ცოლი";

ძმები გრიმების ილუსტრირებული ზღაპრები;

ჰარპერლი - "ნუ მოკლავ ჯაფარას";

ელის სიბულდი - "საყვარელი ძვლები";

მაქს ფრიში - "ლურჯწვერა";

უინსტონ გრუმი - "ფორესტ გამპი";

გეილ ფორმანი - "თუ დავრჩები";

მერი ჰიგინს კლარკი,ალაფკა ბერკი - "კონკიას მკვლელობა";

კასანდრა კლერი - "მექანიკური ანგელოზი";

ჯორჯ ორუელი - "ცხოველების ფერმა"; "1984";

ნიკოლას სპარქსი - "ჩემი საუკეთესო ნაწილი";

ჯოდი პიკო - "ჩემი დის მფარველი";

რედიარდ კიპლინგი - "მაუგლი";

მ ა ლ ა ლ ა იუსაფზაი - "მე ვარ მალალა";

გილბერტ ადერი - "მეოცნებენი";

დავიდ ფონკინოსი - "დელიკატურობა";

მილორად პავიჩი - "ჩაით დახატული პეიზაჟი";

პარლან ქობენი - "არავის უთხრა";

უმბერტო ეკო - "ვარდის სახელი"; "პრაღის სასაფლაო";

ზოი საგი - "ონლაინ გოგო";

ფრენკ პერბერტი - "დიუნი";

ემი იტერანტა - "ნაქსოვი ქეჩების ქალაქი";

ჯონ ფაულზი - "ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი";

უილიამ გოლდინგი - "ბუზთა ბატონი";

სალმან რუშდი - "ფლორენციელი ჯადოქარი";

ორჰან ფამუქი - "უმანკოების მუზეუმი";

მაინ რიდი - "თეთრი თათმანი";

გიორგი კეკელიძე - "სიკვდილი პიცერიაში"; "საყურე";

ანე - კატერინე ვესტლი - "დედა, მამა რვა ბავშვი და საბაგირო მანქანა";

რიკ რიორდანი - "ტიტანის წყევლა";

უინსტონ გრუმი - "ფორესტ გამპი";

ხალიდ ჰოსეინი - "ფრანით მორბენალი";

ჯონ ბენვილი - "ზღვა";

დინო ბუცატი - "თათრების უდაბნო";

რობერტ ბლოჰი - "ღამის კოშმარი";

ნიკოლას სპარქსი - "ჩემი საუკეთესო ნაწილი";

ორასიო კირობა - "ანაკონდა";

ჩარლზ ბუკოვსკი - "ფოსტა";

პოლა ჰოკინსი - "გოგონა მატარებელში";

რეი ბრედბერი - "მარსის ქრონიკა";

ილია ჭავჭავაძე - მოთხრობები და წერილები;

გაბრიელ გარსია მარკესი - "სიყვარული ჟამიანობის დროს";

დათო ტურაშვილი - "ტიბეტი არ არის შორს"; "ამერიკული ზღაპრები"; "ტყეების მეფე";

მარგარეტ მიჩელი - "ქარწაღებულნი" ტ.1,2,3,4.

წიგნის ქურდის დღიური;

პაულო კოელიო - "გამარჯვებული მარტოა";"თერთმეტი წუთი";"ალქიმიკოსი";

ჯეიმზ დაშნერი - "ცეცხლით გამოცდა";

მარსელ პრუსტი - "სოდომი და გომორი";

გოგი გვახარია - "ცრემლიანი სათვალე";

*დასასრული გვ-9.

"ყველის ცილი ჭკვთხლეკთან ჭარლიებს..."

კინომსახიობთა თეატრის წარმატება მსოფლიოს რომ მოედო და დასი ხან ევროპაში იყო და ხან აზიაში, მოკეთეებმა აღმოაჩინეს, რომ თეატრის მთავარი რეჟისორი, დამაარსებელი და ყველა წარმატების ავტორი მიხეილ თუმანიშვილი გასტროლებზე არ დადიოდა. ერთხელაც გაუბედეს და ჰკითხეს - ბატონო მიშა, განა არ გინდათ ნახოთ ის ოვაციები თქვენს სპექტაკლებს რომ ახლავსო?! მან თურმე ჩვეული სიდინჯითა და ღიმილით უპასუხა - მთავარია, შენს ქუჩაზე გაღიარონ, მიგიღონ და შეგიყვარონო.

მშობლიურ ქალაქს სტუმრობდა ნინო მოდრეკილაძე და ცნობიერად თუ არაცნობიერად, ალბათ, მანაც იცის - მთავარია შენ ქალაქში, შენ სამშობლოში, შენ ქუჩაზე გაღიარონ, მიგიღონ და შეგიყვარონ ...

კასპის საქალაქო ბიბლიოთეკის დარბაზს ამ რამდენიმე დღის წინ უამრავი ადამიანი სტუმრობდა. საქმე ის გახლავთ, რომ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა პოეზიის საღამო, რომელიც მიეძღვნა ახალგაზრდა კასპელი პოეტის ნინო მოდრეკილაძის შემოქმედებას. ჩვენმა თანაქალაქელმა ნინო მოდრეკილაძემ 1998 წელს დაამთავრა კასპის პირველი საშუალო სკოლა, 1998-2002 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ქართული პოეზიის, ლიტერატურისადმი დიდი სიყვარული და ინტერესი ნინომ ჯერ კიდევ ბავშვობიდან გამოამჟღავნა, ხანდახან ისეთ პოეტურ შედარებებს მოუხმობდა მეხუთე-მეექვსე კლასელი გოგონა თავის მოკრძალებულ "ლირიკაში", რომ აღტაცებას ვერ ფარავდნენ მისი ლიტერატურის პედაგოგები. სხვათა შორის, პირველად მისმა იმედის მომცემმა პოეზიამ კასპის რაიონულ გაზეთ "განთიადში" გაიჟღერა, დიახ, 1995 წელს სწორედ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი, მერე კი, ოდნავ მოგვიანებით, სტუდენტობისა და შემდგომ პერიოდში მან მრავალ ლიტერატურულ კონკურსში ისახელა თავი. 2014 წელს გამოვიდა მისი პირველი პოეტური კრებული სახელწოდებით "სულის ქარვები", ხოლო შარშან პოეზიის მოყვარულმა საზოგადოებამ მისი კიდევ ერთი ახალი წიგნი ("ფერნაცვალ ფიქრთან") იხილა. ნინო მოდრეკილაძის მრავალფეროვანი, სამშობლოს სიყვარულით გაჯერებული ლამაზი პოეზია ყველას ერთნაირად ხიბლავს და აფიქრებს, მომავლის იმედს უსახავს...

პოეზიის საღამოზე მოწვეული იყვნენ კულტურისა და განათლების მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ნინო მოდრეკილაძის პედაგოგები და ახლობლები, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, შეხვედრას ესწრებოდა სტუმართა წარმომადგენლობითი დელეგაცია, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები და დამფასებლები დედაქალაქიდან, გორიდან... შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა და მადლობა მოახსენა მობრძანებისათვის კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ. შემდეგ დამსწრე საზოგადოების წინაშე წარდგა კასპის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნათია სუხაშვილი, რომელმაც გაიხსენა ნინო მოდრეკილაძის სკოლისდროინდელი პერიოდი, მისი პირველი ნაბიჯები. მოგეხსენებათ, საზოგადოდ მასწავლებლებს როგორი დიდი წვლილი მიუძღვით პიროვნების ფორმირებაში, ამ კონკრეტულ შემთხვევას კი სითბოთი და სიყვარულით სავსე ისტორია აქვს. ნათია მასწავლებელმა პოეტობის პირველი ნაბიჯებიდან მიიღო, გაიგო და შეაფასა ნინო მოდრეკილაძის პოეტური სათქმელი. შემოქმედი ადამიანისათვის თანამოაზრე და სწორ შემფასებელს მთელი ცხოვრება ოქროს ფასი აქვს. ამ ურთიერთობის ფასი ზედმიწევნით კარგად იციან ნინომაც და ნათია მასწავლებელმაც. ყველა მასწავლებელი ვერ ზრდის პოეტს.

საღამოზე საკუთარი ლექსები წაიკითხა ნინო მოდრეკილაძემ, რომელსაც ინტერესით ისმენდა დამსწრე საზოგადოება. დარბაზში იგრძნობოდა დადებითი ემოცია, აღტაცება, მსმენელი განსაკუთრებით აღაფრთოვანა პატრიოტულ თემაზე დაწერილმა ლექსებმა, მათ შორის, იყო ლექსი "თევდორე"... საინტერესო, შთამბეჭდავი იყო სტუმრების პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ჯემალ ინჯიას, ნინო მოდრეკილაძის ბოლოდროინდელი წიგნის რედაქტორის გივი ჩიღვინაძის, პოეტების მაია მიქაიას, გიორგი ხორბალაძის, ედუარდ უგულავას მაღალი შეფასებისა და თანაგრძნობის გამომხატველი გამოსვლები, რომელიც მასპინძლებმა, ნინო მოდრეკილაძის ყოფილმა პედაგოგებმა და აღმზრდელებმა, მისი ნიჭის დამფასებლებმა, უახლოესმა მეგობრებმა დიდი სიამაყით აღიქვეს. ნინო მოდრეკილაძის მოსწავლეობისდროინდელი წლები გაიხსენეს პედაგოგებმა დალი ხაჩიძემ, მანანა ყაბანაშვილმა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიული სოზიაშვილმა, გაზეთ "ახალი განთიადის" რედაქტორმა ნანა მერებაშვილმა. ნინო მოდრეკილაძის მშობლიური სკოლის დირექტორმა მაია დაბრუნდაშვილმა ნინოს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი.

პოეზიის საღამო მუსიკალური თანხლებით მიმდინარეობდა, რომელსაც მცდელობა არ დააკლო კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის გაერთიანების დირექტორმა მიხეილ ქოსაშვილმა. შეხვედრის მონაწილე ქალბატონებმა, იზაბელა კობიაშვილმა, ლია სოზიაშვილმა, დალი ხაჩიძემ, ლია მენაბდიშვილმა ძალიან მოინდომეს და სტუმრები ქართული მელოდიებით გაახალისეს, იყო ძალიან კარგი განწყობა, დადებითი მუხტი, მოკლედ, პოეზიის მოყვარულთათვის და არა მხოლოდ მათთვის ეს დღე კარგი გასახსენებელი იქნება...

შეხვედრის ბოლოს, ორგანიზატორებსა და დამსწრე საზოგადოებას, მოწვეულ სტუმრებს დაუვიწყარი შეხვედრისა და მასპინძლობისათვის გულითადი მადლობა გადაუხადა ნინო მოდრეკილაძემ და კასპის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა თავისი წიგნები.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

შეხვედრები მუზეუმში

საგაზაფხულო ვერნისაჟი

ახლახან გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო გალერეაში (ამჯერად უკვე გაფართოებული) მოეწყო კასპელ შემოქმედ ქალთა ნამუშევრების (ნახატები, ნაქარგები, თექა, ხელნაკეთი სამკაულები და თოჯინები) გამოფენა, რომლის ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სამხატვრო გალერეა, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი". გამოფენაზე მოწვეული იყვნენ კულტურისა და განათლების მუშაკები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, ხელოვნების თაყვანისმცემლები, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები... დამთვალიერებლები და მოწვეული სტუმრები აღტაცებასა და სიხარულს, თქვენ წარმოიდგინეთ, გაოცებასაც ვერ ფარავდნენ აქ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშების, მათ შორის ფერწერული ტილოებისა თუ თექის ნაწარმის გამო. შემოქმედი ქალბატონების ნამუშევრებმა, რომელთაგან ზოგი პირველად გამოიფინა აუდიტორიის წინაშე, განსაკუთრებული ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. ამჯერად, საგაზაფხულო გამოფენაზე სულ 13 ავტორი იქნა წარმოდგენილი, მათ შორის არიან: თეა ქუტაშვილი, გვანცა ტატულაშვილი, ნათია მჭედელაძე, ქეთევან ღლონტი, ანაიდა ბეინაშვილი, ნინო ქენქაძე, ნელი გოგოლაძე, ლელა ჯიქური, ნონა მელაძე, ელზა ჭალისური, თათია მანგოშვილი, რუსუდან ბარნოვი, თათია მინაშვილი.

გამოფენაზე მოსულ სტუმრებსა და შემოქმედ ქალბატონებს მიესალმა და საგაზაფხულო გამოფენის გახსნა მიულოცა მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა. ძალიან საინტერესო და გასათვალისწინებელი გახლდათ მხატვარ იორამ იმედაშვილის გამოსვლა, მან თავის პატარა წიაღსვლაში ყურადღება გაამახვილა გალერეაში გამოფენილ ფერწერულ ნამუშევრებზე და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონების ნახატები მხატვრული ღირებულებით ღირსეულ "კონკურენციას" გაუწევს პროფესიონალ მხატვრებს.

გამოფენას სტუმრობდა ჩვენი ქალაქის მკვიდრი, მეწარმე და ხელოვანთა დიდი თაყვანისმცემელი უშანგი მოსიაშვილი, რომელმაც თავისი დადებითი მოსაზრება გამოთქვა ამ დღესთან დაკავშირებით და ამჟამად ქარხნის საგამოფენო დარბაზში გამოფენილი ნახატების დათვალიერება ურჩია ჩვენს თანაქალაქელებს, განსაკუთრებით კი, მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს... გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებზე ისაუბრა და წარმატება მიულოცა შემოქმედ ქალბატონებს კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების ღონისძიების ორგანიზატორი ლია მენაბდიშვილი, ქალაქის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მანანა ყაბანაშვილი. გამოფენის მონაწილე ყველა შემოქმედ ქალბატონს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ საპატიო სიგელი გადასცა და შემდგომი წარმატება უსურვა.

საგაზაფხულო გამოფენამ თვის ბოლომდე გასტანა.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

ᲨᲐᲙᲘᲙᲘ

შაკიკის აღმნიშვნელი სიტყვა ჰემიკრანია ბერძნულია და თავის ნახევარს ნიშნავს. მართალია, ეს დაავადება ადამიანის სიცოცხლეს არ ემუქრება, მაგრამ საგრძნობლად აუარესებს ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას. შაკიკიანი ავადმყოფი შიშით ელის მომდევნო შეტევას, თავს არიდებს ყოველგვარ საქმიანობას, რომელმაც კი შესაძლოა ტკივილი გამოიწვიოს.

შაკიკის დროს თავის ტვინში სისხლძარღვოვანი არასტაბილურობაა. შეტევისას სისხლძარღვები თავდაპირველად ვიწროვდება, შემდეგ კი მკვეთრად ფართოვდება. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით თავისუფლდება ტკივილის გამომწვევი ნეიროპეპტიდები, ხოლო ტრიგემინული (გამშვები) სისტემა აძლიერებს მის აღქმას.

განასხვავებენ შაკიკის შემდეგ ტიპებს:

* შაკიკი აურის გარეშე (შემთხვევათა 80-90 პროცენტი);
* შაკიკი აურით (10-20 პროცენტი);
* ბაზილარული და პანიკური შაკიკი (ძალიან იშვიათია).

დაავადების ძირითადი სიმპტომია თავის ტკივილი. ის ლოკალიზდება თავის ცალ მხარეს, შუბლისა და საფეთქლის მიდამოში და გადაეცემა იმავე მხარეს – თვალბუდესა და კეფაში. ტკივილს თან ახლავს პულსაცია. შესაძლოა გაგრძელდეს 4-დან 72 საათამდე და თავისთავად გაივლის. თანმხლები სიმპტომებია გულისრევა, პირღებინება, ბავშვებში – მუცლის ტკივილი. შეტევებს შორის პერიოდში ადამიანი არაფერს უჩივის.

შაკიკის შეტევა 5 პერიოდად იყოფა:

1. პროდრომული პერიოდი – ამ დროს ავადმყოფს ეცვლება განწყობა,იპყრობს ემოციური ლაბილურობა, გაღიზიანება, ტირილის სურვილი, ძლიერი წყურვილი, უნდება რაიმე უჩვეულოს შეჭმა, ერევა ძილი, უხშირდება შარდვა.

პროდრომული პერიოდი დაახლოებით 24 საათი გრძელდება;

2. აურა – გრძელდება დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში, ზოგჯერ უფრო მეტ ხანსაც, მაგრამ არა უმეტეს 60 წუთისა;

3. თავის ტკივილი – გრძელდება დაახლოებით 72 საათს;

4. შეტევის ჩაცხრობა;

5. აღდგენითი პერიოდი – გრძელდება რამდენიმე დღე.



ᲨᲐᲣᲚᲘ

შაკიკის პროვოცირება შეუძლია როგორც გარეგან, ისე შინაგან ფაქტორებს. გარეგან ფაქტორებს მიეკუთვნება: საკვები და სასმელი – შოკოლადი, კაკაო, ყავა, ციტრუსები, პროდუქტები, რომლებიც შეიცავს სოდიუმ ნიტრიტს - ჰოთდოგი, ბეკონი, ძეხვი, სალიამი; რძის ზოგიერთი პროდუქტი – ყველი, არაჟანი; პროდუქტები, რომლებიც შეიცავს ნატრიუმის გლუტამატს – ცხარე ჩინური სოუსები; პროდუქტები, რომლებიც შეიცავს თიამინს – დამარილებული ქაშაყი, ქათმის ღვიძლი, პარკოსნები, ლობიო; ასევე, წითელი ღვინო, ლუდი, შამპანური, ხელოვნური დამატკბობლების შემცველი პროდუქტები და სასმელები – კოკა-კოლა და სხვა;

სითხის უკმარისობა;

შიმშილი და ჰიპოგლიკემია – შიმშილის დროს სისხლში შაქრის ოდენობა მცირდება, ეს თავის ტვინის სისხლძარღვების გაფართოებას იწვევს, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა შაკიკის შეტევას დაუდოს სათავე;

გარემო პირობე

*გაგრძელება გვ9.

მიყვარს ქართულად

მარტის პირველ რიცხვებში კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა სალონური შეხვედრა, სადაც მოწვეული იყვნენ რაიონში მოღვაწე შემოქმედი მამაკაცები, მათ შორის, ყველასათვის კარგად ცნობილი მხატვარი იორამ იმედაშვილი, თვალადის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, ტატო ოთიაშვილი, რომელიც წერს შესანიშნავ ლექსებსა და მოთხრობებს, სახელოვან კელაპტრიშვილთა შთამომავალი, კავთისხევის მკვიდრი, მხატვარი მიხეილ კელაპტრიშვილი... ამ სალონური შეხვედრის ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ ახალქალაქელი ზვიად ნავროზაშვილი, რომელმაც სულ ახლახან გამოსცა ლექსების კრებული "მიყვარს ქართულად".

— ჩვენს სალონურ შეხვედრაზე დასწრება ვერ მოახერხა შესანიშნავმა პროზაიკოსმა კახა სულიაშვილმა, — აცხადებს ღონისძიების ორგანიზატორი ლია მენაბდიშვილი, — მაგრამ შეხვედრის დაწყებამდე მოვიდა და თან პატარა სიურპრიზიც მოგვიწყო, ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა თავისი ორი წიგნი "თბილისს ვტოვებ ალიონზე" და "მთავარი ფერი."

საინტერესო იყო სტუმართა გამოსვლები, ისმოდა პროზისა და პოეზიის სადიდებელი. ქართულ ლექსს ენაცვლებოდა გულში ჩამწვდომი მელოდიები, ცნობილ ქართულ ჰიტებს მღეროდნენ ქალბატონები იზაბელა კობიაშვილი, ლია სოზიაშვილი და მანანა ხოხაშვილი, ქალთა ტრიოს არ ჩამორჩა მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი, რომელმაც

თავისი განუმეორებელი საშემსრულებლო მანერით დამსწრე საზოგადოებას მიუძღვნა რამდენიმე საესტრადო სიმღერა... სალონური შეხვედრა დადებითად შეაფასა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ. სიტყვით გამოვიდა ბიბლიოთეკების გაერთიანების მთავარი სპეციალისტი ეთერ ჩადუნელი.

შეხვედრას სტუმრობდნენ გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი. ღონისძიების ბოლოს დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა მოსულ სტუმრებსა და ბიბლიოთეკების სპეციალისტებს აქტიურობისა და ორგანიზებულობისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

რა ენა წახდეს

საბავშვო დილა — "ოდა დედა ენას"

ქართველთა სანუკვარი, საუკუნეებგამოვლილი, საფიცარი დედა ენის ისტორიულ მნიშვნელობასა და უნიკალურობაზე გულდასმით ისაუბრეს ამ რამდენიმე ხნის წინ კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში გამართულ შეხვედრაზე მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, მშობლებმა...

ღონისძიებისათვის საფუძვლიანად ემზადებოდნენ კასპის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეები მარიამ ქებაძე, მარიამ გაგაძე, ნინო სისაური, მაკა ილურიძე, სოფიკო პაპიაშვილი, მარიამ კოტიაშვილი, გიორგი მელაძე, მარიამ ნაცვლიშვილი, თამუნა წინამძღვრიშვილი, ლაშა პაპაშვილი, თამარ ხორგუაშვილი, მარიამ ჟვიძე, ლუკა კოტიაშვილი, ლუკა შერმადინი, თამარ გოგიაშვილი, ნანა ილურიძე, სალომე ნონიაშვილი, ნატალია ბექაური, მარიამ ქაწაშვილი, ლალი ბატკუაშვილი... ეს ლამაზი გოგო-ბიჭები გამართული სამეტყველო კულტურითა და საინტერესო გამომსახველობითი ფორმით ხოტბას ასხამდნენ დედა ენას, ამავე დროს პირობას დებდნენ, ირწმუნებოდნენ, რომ ჩვენს ეროვნულ საგანძურს, "მამულს, ენასა და სარწმუნოებას" ყოველგვარი შემოტევისაგან დაიცავენ... ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ კასპის საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტი მაია ქესაური, ხოლო ბავშვები მოამზადა მესამე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნანა იაშვილმა.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

გახდით სასურველი სტუმარი

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალაამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო ნუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, ამავე გაერთიანების სპეციალისტი იზაბელა კობიაშვილი, ფილოლოგი თამარ გაბოძე, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტი ლია ნიპარიშვილი.

ლიტერატურულ შეხვედრას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე და ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

ჩემი საყვარელი ლექსი

"რომელიც დღემდე ვერავინ თქვა"

ლიტერატურული ღონისძიება სახელწოდებით "ჩემი საყვარელი ლექსი," რომელიც კასპის მთავარი ბიბლიოთეკის ინიციატივით გაიმართა, მოამზადა მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერმა მაია მარჯანიძემ. ბიბლიოთეკის სპეციალისტებმა წინასწარ, საგულდაგულოდ შეარჩიეს და მოამზადეს ქართველი ავტორების ნაწარმოებები, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი პატარ-პატარა ეპიზოდები და საინტერესოდ მოუთხრეს მსმენელს...

დამსწრე საზოგადოებას გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის მოკლე მიმოხილვა წარუდგინა ეკა დალაქიშვილმა, პოეტ მიხეილ ქვლივიძის შემოქმედებაზე ისაუბრა მაია ქარქუსაშვილმა, იოსებ ნონეშვილის პოეზია მსმენელებს გაახსენა თამარ ბოგველმა, ტერენტი გრანელის ცხოვრება და შემოქმედება წარადგინა ხათუნა ბახუაშვილმა, პოეტ ნიკო სამადაშვილის შემოქმედებას მიუძღვნა თავისი გამოსვლა ბიბლიოთეკის მთავარმა სპეციალისტმა ეთერ ჩადუნელმა, მართალია, ნაკლებად ცნობილი, მაგრამ საკმაოდ საინტერესო პოეტისა და ჟურნალისტის ელგუჯა ლებანიძის შესახებ ისაუბრა დიანა ხორბალაძემ.

გამოჯვებული "შესანიშნავი სამეული"

პირველ მარტს კასპის პირველ საჯარო სკოლაში (დირექტორი მაია დაბრუნდაშვილი) ჩატარდა ინტელექტუალური თამაში "ჩვენ ვსწავლობთ მშობლიურ ლიტერატურას".

სკოლამ წარმოადგინა ოთხი გუნდი: "ბენტერები" (კლასის ხელმძღვანელი მალინა ტყემალაძე) - ანი ბედოიძე, მარიამ მჭედლიშვილი, მარიამ ქურთაული; "ჭკუის კოლოფები" (კლასის ხელმძღვანელი ლალი რომაშვილი) - გიორგი ზაქარაშვილი, ნანი გოჭოშვილი, ეკატერინე კვერცხიშვილი; "ჯინსების თაობა" (კლასის ხელმძღვანელი ლია ღვინაძე) - მარიამ აბულაძე, ლალი ოსიყმიშვილი, სოფია პავლიაშვილი; "შესანიშნავი სამეული" (კლასის ხელმძღვანელი ლია ღვინაძე) - გურამ ბერიანიძე, დავით ფეიქრიშვილი, დავით მაღლაფერიძე.

გულშემატკივართა გუნდები წარმოდგენილი იყვნენ მოსწავლეებით: ანა მიდელაშვილი, ნინო ჟივიძე, თათია საბიაშვილი, ალიკა პატარქალიშვილი, ლაშა მერებაშვილი, ხატია ხარატიშვილი, ანანო ადამოვი, სალომე მჭედლიძე, თეონა თაბუაშვილი, ქრისტინე ბუთხუზი, ანი კაპანაძე, სალომე კორხელი, ხატია პეტროსიანი, დავით სტეფნაძე, თაკო დალაქიშვილი.

ღონისძიება მოამზადა და მიჰყავდა სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს მარინა მენაბდიშვილს. წამყვანს ეხმარებოდა ამავე სკოლის მოსწავლე ლაშა მერებაშვილი. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები - მალინა ტყემალაძე, ნუნუ ბერიძე, ნათია სუხაშვილი.

გასახარია, რომ მოსწავლეებმა გამოავლინეს სათანადო ცოდნა. ინტელექტუალური თამაშის მსვლელობის დინამიკაში იგრძნობოდა მოსწავლეების მომზადება და ცოდნის დონე. გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი - "შესანიშნავი სამეული."

გუნდები დაჯილდოვდნენ გოდერძი ჩოხელის წიგნებით "წითელი მგელი" და "მღვდლის ცოდვა".

ღონისძიების ორგანიზატორმა მარინა მენაბდიშვილმა ბავშვებს შესთავაზა ახალი ღონისძიება - ერთი თვის შემდეგ მოეწყოს გოდერძი ჩოხელის "წითელი მგელი"-ს გარჩევა. კასპის ბიბლიოთეკების გაერთიანებამ პირველ საჯარო სკოლას ღონისძიების ჩასატარებლად შესთავაზა საქალაქო ბიბლიოთეკის დარბაზი.

ღონისძიებას მიესალმა - სკოლას და თამაშის ორგანიზატორს, მონაწილეებს მადლობა მოახსენა კასპის გაზეთის "ახალი განთიადი" რედაქტორმა ნანა მერებაშვილმა და კასპის ბიბლიოთეკების გაერთიანების მთავარმა სპეციალისტმა ლია მენაბდიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ ინტელექტუალური თამაშების პერმანენტული გამართვა აუცილებლად გამოიღებს სასურველ შედეგს, წიგნისაკენ მიაბრუნებს მოსწავლეებს. მომავალი კი, იმედია, წიგნიერი ახალგაზრდების ხელში იქნება.

შეხვედრები სამშობლოში

„მამულო, სიცოცხლეო!„

ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმში

ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი 31 წლის ისტორიას ითვლის. ამ ხნის მანძილზე არაერთი საინტერესო ღონისძიება, ლიტერატურული საღამო თუ გამოფენა მოწყობილა მუზეუმში. 2015 წლის 20 აგვისტო მუზეუმის ისტორიაში ჩაიწერა როგორც ერთ-ერთი საინტერესო და დაუვიწყარი დღე; დღე, რომელიც მიეძღვნა ლამისყანელი ორი ქალბატონის – საბერძნეთში მცხოვრები მზაღო ოსიშვილის პოეზიას და კასპის მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგის ანაიდა ბენაშვილის ნაქარგების გამოფენას.

მზაღო ოსიშვილი ერთი იმ ქართველი ქალთაგანია, უკიდურესმა სიდუხჭირემ, წლების წინ, იძულებული რომ გახადა, სამი შვილი დაეტოვებინა და მათთვის ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადახვეწილიყო. "დედა, არ დამტოვო" – უმცროსი შვილის ამ სიტყვებს დღესაც ცრემლებით იხსენებს... წაუსვლელობა პატარების შიმშილს ნიშნავდა. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულმა თავი საბერძნეთს შეაფარა. მოხუცი ცოლ-ქმრის მოვლა იტვირთა და ღირსეული ქალის სახელიც დაიმკვიდრა. უსაზღვრო სევდა მზაღო ოსიშვილის ცხოვრების თანამგზავრი გახდა. შვილები და სამშობლო ერთნაირად ენატრებოდა. ღამღამობით მთვარეს უყვებოდა მათზე. მერე კი თავადაც ვერ მიხვდა, გაუსაძლისმა მონატრებამ ხელში კალამი როგორ ააღებინა და საკუთარი ყოფა ლექსად ჩამოაძერწინა.

გულიდან ამოხეთქილმა სიტყვებმა სათავე დაუდო ემიგრანტი ქალის პოეზიას; თუმცა მზაღო ოსიშვილს პოეტობის პრეტენზია არასოდეს ჰქონია. ნაფიქრალნააზრევი ფურცელზე გადაჰქონდა, ლექსებით ეფერებოდა შვილებს, ახლობლებს, სამშობლოსა და მშობლიურ სოფელს.

"ძნელია, როცა გენატრება დედასამშობლო,

ამაზე დიდი სატანჯველი არაფერია.

. . .

ჩემო სოფელო, ლამაზო მხარეო,

იმედს არ ვკარგავ, რომ გნახავ მალე".

მზაღო ოსიშვილის ნიჭიერება მალევე შეამჩნია საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთის "ელადა" მთავარი რედაქტორის მოადგილემ ქალბატონმა თამარ (ლეილა) სოლოღაშვილ-სეფაშვილმა და მისი რედაქტორობით 2013 წელს ათენში "ელადას" რედაქციამ გამოსცა მზაღო ოსიშვილისა და მასავით ემიგრანტი ქალბატონის ნანა მეტრეველის ლექსები. წიგნს "მონატრება" ჰქვია. მისი წაკითხვა უცრემლოდ შეუძლებელია. "ეს წიგნი დროს გაუძლებს... ქართველს უცხოეთში ყოველთვის ქართული საქმე შეეწეოდა მძიმე და, უმეტეს შემთხვევაში, საპატიო ჯვარის ზიდვისას" – დაწერა მაშინ ბატონმა დავით ბაქრაძემ, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საბერძნეთის რესპუბლიკაში.

პირველ წიგნს მალე მეორე მოჰყვა. 2014 წელს "ელადა"-ს რედაქციამ ქალბატონ თამარ სეფაშვილის რედაქტორობით გამოსცა მზაღო ოსიშვილის ლექსები და ჩანაწერები. "ჩემი სამოთხე საქართველოა", – ასე ჰქვია წიგნს, რომელსაც "ელადა"-ს მთავარმა რედაქტორმა ქალბატონმა ანა ყურშავიშვილმა ასეთი შეფასება მისცა: "მზაღო ოსიშვილის ეს წიგნი ემიგრანტული პოეზიის ერთი ლამაზი ფურცელია, ეკლესიასავით სუფთა, რწმენით, სიყვარულით, ლოცვით სავსე". ბატონმა დავით ბაქრაძემ კი შემდეგი ბრძანა: "ეს არაჩვეულებრივი წიგნი, ემიგრაციის სევდიანი დასტურია ქართველი ქალისა, რომელსაც, სადაც არ უნდა იყოს და როგორც არ უნდა იყოს, სალოცავად და საფიქრელად სამშობლო და ოჯახი დაუსახავს, რასაც თავისი შემოქმედება მიუძღვნა ასე ლამაზად და ორიგინალურად ქალბატონმა მზაღო ოსიშვილმა. ვულოცავ მას ამ წიგნის გამოცემას და წარმატებებს ვუსურვებ სამშობლოში მშვიდობიან და ღირსეულ დაბრუნებასთან ერთად".

ორი წიგნით ხელდამშვენებული მზაღო ოსიშვილი 2015 წლის აგვისტოში ესტუმრა მშობლიურ სოფელს. თბილი და ემოციური იყო მისი შეხვედრა თანასოფლელებთან. ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის დარბაზი მომსვლელს ვერ იტევდა. მონიტორზე საბერძნეთში ქართული დიასპორის ლიტერატურული საღამოების ამსახველი კადრები ენაცვლებოდა ერთმანეთს. მუზეუმის მოხალისე მოსწავლეები დედაემიგრანტის ლექსებს კითხულობდნენ.

"სამშობლო ჩვენთვის ერთადერთია,

ხატებას მისას გულით ვატარებთ". – სამშობლოს სევდა მზაღო ოსიშვილის შემოქმედების ლაიტმოტივია. ცრემლის გარეშე ვერავინ შეძლო მისი ლექსების მოსმენა. აი, კაფიებმა კი გაამხიარულა დამსწრე საზოგადოება. კაფიებით პაექრობაში ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს მზაღო ოსიშვილი და კასპელი ზვიად ნავროზაშვილი.

ამ დღემ მუზეუმის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი არაჩვეულებრივი გამოფენითაც დაიმკვიდრა. ანაიდა ბენაშვილის ნაქარგებმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა დამთვალიერებელზე. ბევრმა მათგანმა ვერ დაიჯერა, რომ კედლებზე ნაქარგები იყო განთავსებული და არა ფოტოები, რაც შთაბეჭდილებების წიგნშიცაა დაფიქსირებული...

2015 წლის 20 აგვისტო ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის ისტორიის ერთ-ერთი ლამაზი ფურცელია.

სოფიო ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი.

60 წლის წინათ ... ოლონდ, ერთი წლით ადრე (ანუ — ძველის გახსენება ახლის მოლოდინში)

მე-20 საუკუნის 50-იანი წლების შუახანებში, კასპის სარკინიგზო სადგურის გადასწვრივ, ოდნავ დასავლეთ მხარეზე, ღია საჭიდაო არენა იყო მოწყობილი იმ ადგილზე, რომელსაც ხალხი დღემდე მოიხსენიებს "წერტის" სახელით. იქ სისტემატურად ეწყობოდა საკვირაო შეჯიბრებები. მათი სულისჩამდგმელი, ინიციატორი და ორგანიზატორი ერთი კაცი ბრძანდებოდა — სხვა არავინ, თუ არა არჩილ კიტრიაშვილი. ასე განსაჯეთ, ბილეთებსაც კი თვითონ ჰყიდიდა ზოგჯერ, თითქოს სხვა საქმე არ ეყოფოდა — იმ პერიოდისათვის იგი ხომ მოქმედი მოჭიდავე იყო (1955 წელს სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" საქართველოს ჩემპიონი გახდა ოთარ გზირიშვილთან, სერგო ზაქარიაშვილთან და ამირან ვარდოშვილთან ერთად).

ასე იყო თუ ისე, არც პირადად მას და აღარც სხვა კასპელ მოჭიდავეებს მარტივი ტიპის საჭიდაო, რომელიც ბლოკით ნაშენი ნახევარკედლით იყო შემოღობილი, ნამდვილად აღარ აკმაყოფილებდათ. ჰოდა, ახლის აგების იდეაც გაჩნდა. ყველამ მხარი მხარს მისცა, ხელები დაიკაპიწეს და... აქ ჩვენს სათქმელ-სალაპარაკოს შევწყვეტთ და თავს ნებას მივცემთ, გაგაცნოთ გაზეთ "ლელოს" პუბლიკაცია, რომელიც გამოქვეყნებულია 1958 წლის 10 აგვისტოს ნომრის პირველივე გვერდზე:

"ახალი საჭიდაო დარბაზი

ამ ორიოდე წლის წინ კასპში საფუძველი ჩაეყარა საჭიდაო დარბაზის მშენებლობას. ამ ამბავს დიდი სიხარულით შეეგებნენ კასპელი ახალგაზრდები. ისინი მშენებლებთან ერთად გამოდიოდნენ ყოველ კვირა დღეს და ეხმარებოდნენ მათ. მშენებლობა საერთო საქმედ იქცა. საკმარისია გავიხსენოთ მშენებლობის უკანასკნელი დღეები. აქ ყოველდღიურად ასამდე კომკავშირელი შრომობდა. ვაჟების მხარდამხარ შრომის ფერხულში იდგნენ კომკავშირელი გოგონებიც — მ. მერებაშვილი, მ. დალაქიშვილი, ნ. ქართველიშვილი, გ. დალაქიშვილი და სხვები. მშენებლობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს კასპის ცემენტის ქარხნის მუშა-ახალგაზრდებმა, კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდებმა, საქართველოში ცნობილმა მოჭიდავეებმა: ა. კიტრიაშვილმა, ლ. კაციაშვილმა, ო. ჭონიაშვილმა, გ. მარიამიძემ, ს. ბახტაძემ, გ. ნავროზაშვილმა და სხვებმა.

ლელო

მშენებლის დღე

ახალი საჭიდაო დარბაზი

იშრომეს და მიზანსაც მიაღწიეს. ახლა მათ აქვთ კარგი, კეთილმოწყობილი საჭიდაო დარბაზი. აქვე შენდება სპორტული დარბაზი.

გუშინ საღამოს მოხდა კასპის ახალი საჭიდაო დარბაზის საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრო კასპის რაიონის მოსახლეობა, სტუმრები თბილისიდან, გორიდან, ხაშურიდან და სხვა ქალაქებიდან.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ დაიწყო პირველი შეჯიბრება: ქართლის რაიონების ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში (კ. ამაშუკელი)".

... გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, კასპის გარდა, ერთნაირი ტიპის საჭიდაო დარბაზები (მრგვალი — ცირკისებური — შენობები, გუმბათითა და წრიული არენით) საქართველის კიდევ რამდენიმე ქალაქში აიგო: გორში ("ახალ ბაღში"), მცხეთაში, ქარელში, თელავის რაიონის ერთ-ერთ სოფელში)... იმ პერიოდში ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებას თავკაცობდა ჩვენებური (მეტეხელი) კაცი, ქართული სპორტის დიდი ქომაგი, შემდგომში სპორტის დამსახურებული მუშაკი — ივანე ბოჭორიძე. სწორედ ამ პიროვნების დაუფარავი სურვილი იყო, რომ მის მშობლიურ რაიონშიც ამოქმედებულიყო დროის მოთხოვნილებათა შესაბამისი სპორტული ნაგებობა.

... მაშ ასე: 1958 წლის აგვისტოში კასპში საღღესასწაულო ვითარებაში გაჭრეს ახალი დარბაზის მთავარ შესასვლელ კარში გაბმული წითელი ლენტი და, როგორც იმ დროისათვის საქართველოში გამომავალი ერთადერთი სპორტული გაზეთი "ლელო" ძალზე ოპერატიულად იუწყებოდა ("კასპში გუშინ საღამოს გაიხსნა" ...), პირველი შეჯიბრების დაწყების ნიშნად მოჭიდავეები წრეშიც ჩადგნენ.

მისი გახსნის ცერემონიალში მონაწილეობისათვის და პირველ შეჯიბრებაზე დასასწრებად (საპატიო მთავარი მსაჯის როლში!), მთელ საქართველოში კარგად ცნობილ სხვა მოჭიდავეებთან ერთად, კასპში საგანგებოდ მოიწვიეს ფალავანთფალავანი სანდრო კანდელაკი.

ბატონი სანდრო, თავისი ზორბა ტანით, ახალი დარბაზის ახალ სკამზე თურმე ვერადავერ მოთავსდა და აქეთ-იქით თვალით დამხმარეს ეძებდა, - ხალხი არა ხართ, რამე მიშველეთო!

მასპინძლებმა, მეტი რა ჩარა იყო, ყველაზე იოლ და სახელდახელო გამოსავალს მიაგნეს: ორი სკამის გამყოფი სახელური (სამკლაური) გადახერხეს და დასაჯდომი ადგილი გააერთიანეს, გააფართოვეს.

— დაბრძანდით, ბატონო სანდრო! — გახარებულმა კასპელებმა, რაკი ჭირის ოფლი მოიმშრალეს, საპატიო სტუმარს უფრო გაბედულად, თამამად და გულღიად სთხოვეს ...

... ეს ძველი, თითქმის 60 წლის წინანდელი, ამბავი ახლა იმიტომ გავიხსენეთ, რომ კასპელები კვლავაც ხანგრძლივი მოლოდინის რეჟიმში ვიმყოფებით: ქალაქის ახალ სპორტულ კომპლექსში ორგანულად შენარჩუნებულ-შერწყმულია "მრგვალი დარბაზიც" და, ვიმედოვნებთ, პირველი ოფიციალური შეჯიბრებებიც აქ მალე გაიმართება.

ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მოდიან ...

არა, გამოცანას არ მოგახსენებთ. ვსაუბრობთ რობინზონ ბეგლარაშვილსა და ჯაბა პაპინაშვილზე. ისინი ასაკით თითქმის ტოლნი არიან: პირველი დაბადებულია 1998 წლის 6 აპრილს, მეორე — ამავე წლის 27 აპრილს. ასე რომ, წლევანდელ აპრილში მათ 19 წელი უსრულდებათ.

მარტის დასაწყისში ორივემ წარმატებით იასპარეზა ქ. თბილისში ჩატარებულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა ჩემპიონატში: ბეგლარაშვილი საქართველოს ჩემპიონი გახდა 60 კილოგრამამდე წონის მოჭიდავეთა შორის, პაპინაშვილმა კი მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა 56 კილოგრამამდე კატეგორიაში მოასპარეზეთა შორის.

დიახ, ორნი არიან და ტოლნი არიან. ვნახოთ, აბა, რომელი მეტად ასახელებს ქართულ ძიუდოს სულ ახლო მომავალში!

ქება — ბექას, გარეჯში გარჯისათვის

ბექა გოცირიძე ნაცნობი გვარია ქართულ ფეხბურთში. მამა-პაპით კასპელმა 28 წლის ფეხბურთელმა (ფორვარდმა) კვლავ მოახერხა ფეხბურთში დაბრუნება...

ბექამ თბილისის "ამერში" აიდგა ფეხი, ზესტაფონის გუნდში დავაჟკაცდა და პირველი ფეხბურთელი შეიქმნა, რომელიც ქართული საფეხბურთო გუნდიდან უცხოეთში (უკრაინის "დნიპროში") გაიყიდა ერთ მილიონ დოლარზე მეტად (1.200.000-ად). ჩვენი ნაკრების უცხოელმა მწვრთნელმა, კუპერმა, ნაკრებში ათამაშა და დებიუტანტმა გასვლით მატჩში უელსის გუნდთან გამარჯვების გოლიც შეაგდო... მერე იყო არასასურველი ავტოავარია... ბექას კი მუდამ ეწადა მინდორზე ფრენა, ამ ორიოდე წლის წინ კასპის მინიფეხბურთელთა საქალაქო პირველობაზეც კი ითამაშა.

და, აი, სასიამოვნო ცნობა: ბექა გოცირიძე გარეჯის "გარეჯის" გუნდში ითამაშებს საქართველოს ეროვნული პროლიგა—2-ის პირველობაზე. ის, რომ პირველ თამაშში დუბლიც გაიფორმა, ოპტიმისტურად განგვაწყობს მის გულშემატკივრებსაც და, რაც მთავარია, თვითონ ბექას, რომელიც ერთ მდინარეში შესვლას რამდენჯერმე ცდილობს.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

დავიმახსოვროთ ეს ორი გვარი

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ანზორ მარგველანის ხსოვნისადმი მიძღვნილ მე-12 საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ქ. ბოლნისში გაიმართა მარტის დასაწყისში, კასპელმა ჭაბუკმა ძიუდოისტებმა — ვალერიან მღებრიშვილმა და ირაკლი დემეტრაშვილმა მე-3 საპრიზო ადგილები დაიკავეს... დავიმახსოვროთ მათი გვარები (ისე, ყოველი შემთხვევისათვის).

გვმოიწერეთ "ახალი გზითიალი"
გვხლით ჩვენი მკითხველი!

მკითხველს შეუძლია მოგვანოდოს სასავტორო შემეწყნებით-გასართობი მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე — კასპი, სასაკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

სამბოს ყაჩი და "ჯუდოყილსის" ბავშვი

სამბოსაც და ძიუდოსაც ძლიერი ვაჟები და კაცები ჭიდაობენ, ანუ – ნამდვილი ვაჟკაცები.

სამბოზე ბევრი რამ ვიცით – ჭიდაობის ნაცნობი და ძველი სახეობაა... ზვიად ოდოშაშვილი ნაცადი სამბოელია: საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, მსოფლიო ჩემპიონატის მე-3 პრიზიორი, საქართველოს რამდენიმეგზის ჩემპიონი სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში.

... ნუგზარ მამულაშვილის სახელი უფრო ცნობილია ქართულ სპორტში, როგორც მოჭიდავისა და მწვრთნელისა, მაგრამ ამჯერად უნდა გაგაცნოთ მისი მოსახელე შვილიშვილი – 5 წლის ნუგზარიკო! საქმე ისაა, რომ საქართველოს ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ, თავისი აკადემიის ბაზაზე, აამოქმედა ახალი პროექტი – "ჯუდოკიდსი", რომელიც ითვალისწინებს მასში სკოლამდელი ასაკის, 3-6 წლის ბავშვების ჩართულობას (იდეა ჰოლანდიიდან წამოვიდა და ქართველმა სპეციალისტებმა დროულად აუღეს ალღო).

ჰოდა, სახელოვან პაპას სიახლის სამომავლო კეთილსარგებლიანობის განჭვრეტაში ვინ დაასწრებდა, საექსპერიმენტო "მასალაც" აკი თავისივე სისხლისა და გენისაა: უმცროსი ნუგზარ მამულაშვილი კვირაში ერთ დღეს თბილისში "ჯუდოკიდსის" აღსაზრდელი ხდება.

(სურათს რაც შეეხება, გადაღებულია კასპის ახალი სპორტული დარბაზის საჭიდაო დარბაზში, სადაც ზვიად ოდოშაშვილი – 2016 წლის ნოემბრის ბუქარესტული ბრინჯაოსანი სამბოს კაცი – სისტემატურად ვარჯიშობს ახალბედების გვერდით და ამით ერთგვარ სტიმულს აძლევს ნორჩებს და, მათ შორის, პირადი მწვრთნელის ცეროდენა – ყმაწვილ შვილიშვილსაც – "ჯუდოკიდსის" ბავშვს).

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

,,ახალი გზნიერლი,, იძიებს ნაიც�რიცხოთ ნოსტალგიებს რაიონის ნაგვაზეთ ფოტო-მაცივანის შეცვლილია. თხოვნით მივმართავთ თანამრავლონ-ილოებს - -ლაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მაცივანიში! გამოგვიგზავნეთ ნაიცinრიცხოთ და ნახალიანთ ფოტოები!

გამოგვეხმაურეთ

85 წელია, ჩვენი გაზეთი იწერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარუს ან უხლის ყვითელ ჭრელას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელ მაცივანეს...

სიახლე

***დასასრული**

თომას ჰარისი - "კრავთა დუმილი";

ერიკ - ემანუელ შმიტი - "სიყვარული საწამლავია, სიყვარულის ნექტარი";

ჯონ გრინი - "ალასკას ძიება"; "ბედის ვარსკვლავის ბრალია"; "ქაღალდის ქალაქები";

ლუის ლოური - "გამღები";

სტივენ კინგი - "უიმედოთა ქალაქი";

ოტია იოსელიანი - "ჩემი ასავალ - დასავალი"; "სანამ ურემი გადაბრუნდება"; "დაჩის ზღაპრები";

გურამ პეტრიაშვილი - "პატარა ქალაქის ზღაპრები".

მკითხველებს ველით მთავრ და საქალაქო ბიბლიოთეკაში. წიგნები შერჩეულია მკითხველთა მოთხოვნით.

თუ გაქვთ რომელიმე წიგნის წაკითხვის დიდი ინტერესი, დაგვიკავშირდით, თუ ბიბლიოთეკას არ ექნება თქვენთვის საინტერესო ავტორის ნაწარმოები, ჩაგვანიშნინეთ და უახლოეს მომავალში ჩვენ შევიძენთ თქვენს მიერ მოთხოვნილ ლიტერატურას. ტ. 22 22 45.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

შაყული

***დასასრული**

ბი – სიცხე, სიცივე, კაშკაშა სინათლე, ქარი, ძლიერი ხმაური, მკვეთრი სუნი. მედიკამენტები (ვაზოდილატატორები, ორალური კონტრაცეპტივები, ინდომეტაცინი).

შინაგან ფაქტორებს მიეკუთვნება:

* ხანგრძლივი ძილი ან უძილობა;
* გადაღლილობა და ფსიქოემოციური დაძაბულობა;
* ფიზიკური აქტიურობა, მათ შორის – სქესობრივი კონტაქტი;
* ჰორმონული ძვრები: პუბერტატული პერიოდი, მენსტრუაცია, ორსულობა, კლიმაქსი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება გენეტიკურ განწყობას, განსაკუთრებით – დედის მხრიდან, ხოლო თუ შაკიკს ორივე მშობელი უჩივის, ბავშვს ათიდან მხოლოდ ერთი შანსი აქვს, დარჩეს ჯანმრთელი. ხშირად შეტევის პროვოცირებას რამდენიმე ფაქტორის ერთდროული ზემოქმედება ახდენს. მაგალითად, თუ ქალს მენსტრუალური ციკლის შუაში თეთრი ღვინო, ყველი ან შოკოლადი სიამოვნებას ანიჭებს, უშუალოდ მენსტრუაციის დროს იმავე პროდუქტებმა შესაძლოა შაკიკის შეტევა გამოიწვიოს.

შაკიკის შეტევის მოხსნის საუკეთესო გზა, მისი დასაწყისშივე აღკვეთაა – სანამ თავის ტკივილი ჯერ კიდევ არ განვითარებულა, მაგრამ მისი წინამორბედი სიმპტომები უკვე აშკარაა. ბევრი შეტევას ძილით ებრძვის. ძილის დროს სიმპტომები ხშირად ისე გაივლის, რომ შეტევა შესაძლოა აღარც კი განვითარდეს, მაგრამ ზოგჯერ თავის ტკივილი სწორედ ძილში იწყება. შაკიკს ხშირად უკავშირებენ კუჭში საკვების შეგუბებას, ამიტომ მის მკურნალობას იწყებენ ჩვეულებრივი ანალგეტიკით მანამდე კი აძლევენ ღებინების საწინააღმდეგო საშუალებას, რომელსაც კუჭის შიგთავსი ნაწლავებში გადააქვს. უშედეგო მკურნალობის შემთხვევაში სეროტონინის აგონისტებზე გადადიან. ამას გარდა შაკიკიან ავადმყოფებს დიდი რაოდენობით სჭირდებათ ვიტამინები; მინერალები (მაგნიუმი), ამინომჟავები (ტრიპტოფანი,ტაურინი), პოლიუჯერი მჟავები (ომეგა-3), ფერმენტები (გინკო-ბილობა, კურკუმა) და სხვა ბიოაქტიური პრეპარატები. ზოგჯერ დამხმარე საშუალებად მანუალურ თერაპიასაც იყენებენ. ეს მეთოდი კარგად მოქმედებს იმ პაციენტებზე, ვისაც ტკივილი ძირითადად კეფაში აქვს ლოკალიზებული. პროფილაქტიკის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მედიკამენტი, თუმცა პროფილაქტიკის ყველაზე ეფექტიანი საშუალება ცხოვრების ჯანსაღი წესია – ერთმანეთს ჰარმონიულად უნდა შეუნაცვლოთ მუშაობა და სუფთა ჰაერზე დასვენება.

ამასთანავე, კარგად დააკვირდით საკუთარ თავს და შეისწავლეთ საკუთარი შაკიკის გამომწვევი ფაქტორები, რათა შეტევის თავიდან აცილება შეძლოთ. გახსოვდეთ, საუკეთესო მკურნალობა დაავადების პროფილაქტიკაა.

მილოცვა

დალი ყორუმაშვილს ვულოცავთ შვილიშვილის დაბადებას და გულითადად ვუ ე ო ბ ი თ მისი ოჯახის დიდ სიხარულს. ჰაცარა საბა გურასპაშვილს ყი, ვუსურვებთ ბედნიერ და წარმაცებულ მომავალს, ქვეყნის სასახელო ვაჟაცი გაზრდილიყოს.

„ახალი განთიადის„ რედაქცია.

მილოცვა

საქართველოს ჰედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული საბჭო ულოცავს კასპის მუნიციპალიტეტის ქვემო ხანდაკის საჯარო სკოლის ღვანლმოსილ ჰედაგოგს ბატონ ომარ სიმონიშვილს დაბადების 75 წლისთავს!

ბატონ ომარს უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს სოფლისა და ქვეყნის საამაყოდ.

გ. სოზიაშვილი, სპმპ-ს კასპის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ყველაფერი

შეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" გახლით ჩვენი მკითხველი!

იცით თუ არა, რომ...

წელიწადში მსოფლიოში დაახლოებით 50.000 მიწისძვრა ხდება.

საშუალო აისბერგი 20,000,000 ტონას იწონის.

ამაზონიის წვიმის ტყეები მსოფლიო ნახშირორჟანგის 20 პროცენტს გამოყოფენ.

დედამიწის ტყეების მეოთხედი ციმბირშია.

ალასკაზე ყოველწლიურად დაახლოებით 5.000 მიწისძვრა ხდება.

ევროპა ერთადერთი კონტინენტია, რომელზეც უდაბნო არ არის.

ნაიკის დიზაინის შემქმნელს 35 § გადაუხადეს.

კლეოპატრა ეგვიპტელი კი არა, ბერძენი იყო.

ტიტანიკი პირველი გემი იყო, რომელმაც სიგნალი – გამოიყენა.

თაფლის ფუტკრებს არასდროს სძინავთ.

ხსოვნა

დათო ღვინიაშვილი

ყველაზე ბრძენი და განსწავლული ადამიანიც კი უძლურია გამოხატოს ის დარდი და სევდა, რომელსაც დედა განიცდის შვილის გარდაცვალების შემდეგ.

ასეთ სინამდვილეში სიტყვები ძალას კარგავენ. ეს ყველაფერი კარგად ვიცით, მაგრამ მაინც გვინდა შენი დაბადების დღე ერთად აღვნიშნოთ, ცრემლგამშრალ დედას კიდევ ერთხელ ვუთხრათ, რომ თანაზიარი ვართ მისი ტკივილისა.

შენი მოსახელე დისშვილი დათუნა და მისი ძმა საბა ყოველდღე გიხსენებენ, მათაც ძალიან აკლიხარ... კიდევ კარგი ისინი ახმიანებენ შენს ეზოს. შენი და ზრუნვას არ აკლებს თქვენ საფიცარ დედას.

როგორ დატოვე დედა მარტო?

უხმოდ, უჩუმრად როგორ მიგვატოვე ჩვენო თბილო, მოსიყვარულე, გულიანო ... ტკბილად ჩაძინებულივით, მომღიმარი სახით წახვედი მარადიულ სასუფეველში, ისე, რომ ერთი არ დაგიკვნესია ...

ჩვენ ვცდილობთ შევუმსუბუქოთ ყოფა შენს საყვარელ დედას და ჩვენს მზრუნველ მეგობარს ... როგორ გამოგვდის არ ვიცით

იმედია, ხარ იქ ... "სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი აწ და მარადის, უკუნისი უკუნისამდე."

მეგობრები.

შეუცნობელის კვალდაკვალ

ვუხცნელი, უცნაური, შეუცნობელი

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი." ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

გამოგვეხმაურეთ!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76